კვირა, 21 დეკემბერი 1914 წ. ფასი 5 კაპ.

№ 30

გამოვა დრო-გამოშვებით. დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება: Тифлисъ. Типографія „Шрома. Теофилу Болквадзе.

ფერა-კითხვის გამავრცელებელი დარაჯნი



ფერა-კითხვის ციხის კართან
მცველებია დარაზმული
და იქ მისულ მშრომელ ხალხსა
შიშით გაუხეთქეს გული.

ოხუნჯი.

ომის ვითარება.

ომის საქმე ცუდათ მიდის,
გაიფისა, გაიყინა;
გერმანია (ის წყეული)
მაგრათა დგას, როგორც რკინა.
დამარცხებას არ ჰფიქრობენ,
ბრძოლას დინჯათ აგრძელებენ,
(შეგნებული ხალხი ვართო,
ქვეყანას კი აბნელებენ!)

* *
*

საფრანგეთი, ამ ბოლო დროს
მტერს ძალიან გაუმკლავდა,
(თორემ წინათ მისი საქმე
ალარაფერს ალარ ჰგავდა).
გერმანია შეაჩერა,
არ მოელის პარიზს შიში,
(თუ რომ კიდევ, ხელ-მეორეთ
არ ჩავარდა გასაჭირში).

* *
*

რუსეთმა კი ავსტრიაში
გაიმარჯვა, გაიწია,
კრაკოვისაკენ მიდიან,
გადალახეს გალიცია;
მაგრამ ზემოთ, (პრუსიაში)
გამაგრება გაუჭირდა,
(მტერი მეტათ გაძლიერდა,
თორემ ისე რა უჭირდა).

* *
*

ინგლისმა კი-- აჯანყება
როგორც იყო დააწყნარა,
მაგრამ გერმანიის ფლოტმა
გააკუჭა, გააცხარა.
ეხლა ჰმართებს მამაცობა,
თუ რომ შესწევს რამე ღონე,
(ვგონებ ტყვილათ იბერება,
ეს ზღვის მეფე, თავ-მომწონე!)

* *
*

ავსტრია ხომ ისე წახდა
სულ დავთრები აერია,
რუსეთთან რომ ვერას გახდა —
სერბიელებს დაერია!
მთელი ძალა მოიხმარა,
ბრძოლა იყო საშინელი,
(მაგრამ იქაც უკუ-აგდეს,
საქმე უყვეს საცინელი!).

* *
*

ოსმალეთი გვემუქრება:
მოვდივარო იერიშით,
თუმცა ჯარი ბლომათა ჰყავთ,
მაინც ცახცახებენ შიშით!
დიდი ბრძოლა დაიწყება,
რომ დადგება გაზაფხული;
(მანამდე კი ენვერ-ფაშას
მჯავრით გაუსკდება გული).

მათრახოსანი.

ტიგრანას ჩივილი

(სტენა ჯაჭრის ცხოვრებიდან)

ცხონებული მამაჩემი ჰავეტიქა სულ იმას ჩამ-ჩიჩინებდა თუ „შვილო, ფულის შოვნა ვაინობის დროსაა, ეცადე თუ მეესწრო იმ დროს ჩისპანდათ დახვდიო, ჩოთქს ხელი ყარაჩოღულათ გაჰკარ-გაჰ-მოკარიო და ფული პესოკივით მოვაო“. პესოკი-ვით კი არა, ნეტა იმტელი ვიშოვო რომ მეფურ-ნეს გავუსწორდე და შიმშილით სული არ ამომ-ძვრეს. კაცს პატენტი გქონდეს, შეშუდით დუქა-ნი გამოტენილი და ვაჭრობის ნებას არ გაძლევდენ?! ვთქვი თუ, ვაინაა, ღმერთმა ქნა, ერთი ორიოდე გროში ვიშოვე მეთქი და ამოტოლა ღვინო-არაყი მოვაყარე, ვიფიქრე მტრის გულისა არ გავხდე-მეთქი. ათასი პლანები დავაწყე, მაგრამ სულ პუს-ტიაკად. სულ ფუჭად ჩამიარა. მეუბნებიან საჭ-მელები გაყიდეო და ისიც გეყოფაო. ვა, ერთი ამათ ღმერთი სთხოვე! ქრისტიანო, მოგება ღვინო-ში და არაყშია. სოუზის გაყიდვა რომ მდომებოდა ხარშოვნიკის დუქანს გავაღებდი. ვა, ხალხნო ოთხმოცი თუმანი პატენტში გადავიხადო და ხარ-შოვნიკობა დავიწყო, ან არა და ხაში და ცხვრის თავ-ფეხი ვყიდო კაცო?! ესე რჯულზე გადადგომა როგორ იქნება, ადამიანმა პური ჭამოს და ქრის-ტიანულათ ერთი ხელადა ღვინო არ დააყოლო! არ ვიცი, არ ვიცი ეს რა ამბავია ჩემს თავზე! ვაი-ნა განა სხვა არ ყოფილა: ეს ბურების ვაინაო, ეს კიტაიცკიო, ეს იაპონცკიო, ეს ბალკანცკიო, ეს რევოლუციაო მაგრამ ხმა არავის გაუცია ჩემთვის. ღვინოსაც ვყიდდი და არაყსაც. არა, ეს სულ სხვა დრო დაგვიდგა. სუყველა ეს ამბავი ამ გაბერილი ლემენცების ბრალია, სულ მაგათ ატეხეს ეს დავი-დარაბა, მაგ ჩემი ცოდით სავსეებმა მაგათ. მეგონა, რა იქნება ერთი ლემენცი ძვალ-რბილს სულ ჰარი-სასავით გაუხდიან მეთქი. მაგრამ ეს ოსმალოც რომ გაგიჟდა და ვაინა გამოუცხადა, მაგან სულ ცე-ცხლზე ნავთი გადამისხა რაღა! მე გათავებას ვამ-ბობდი და გათავება კიარა ვაინა ახლა იწყება. მაშ ტყუილათ უნდა ვაძლიო რაღა ამოტელა პატენტის ფული! რა ვიცი ეს ოხერი როცა პატენტი არა მაქვს, ეს ჩვენი ბრუციანი აქციზი თითქოს კარა-ბადინში ამოიკითხაო ისე ხელათ გაიგებს და სრა-ზუმ ორმოც პროტოკოლს მიყენებს. ეხ... იყო დრო რომ მიკიტნის ხელობას გასავალი და დახლი-

ცა ჰქონდა ეხლა სადღაა ის დროება, ქვეყანა ყირამალა ტრიალებს. რავიცი კაცო ამ სუდენტებმა თელი ქალაქი აიკლეს, ერთი ბუნტები და ყალმაყალი იყო თუ სლაბოდნობა გვინდაო და სლაბოდნობა კი არა კაცო, უფრო მუხრუჭი მოგვიჭირეს. ეხლანდელ დროში ბაზაზობას არაფერი არ ჯობია მედაჩემმა ღმერთმა. გაიკეთე შანტეკროლის გალუსტიკი, ბარიშნებს ხელი გადაუსვ-გადმოუსვი და შვიდ კაპეიკიანი ჩითი შვიდ შაურათ მიყიდე. ჩემი დედაკაცი მაინც სულ იმას მეჩხუბება თუ: „კაცო კოსტიუმი შეიკერე, გალუსრიკი გაიკეთეო, ახალუხის მოდა აღარ არისო“. ასრულდა რაღა იმის წადილი. აფსუს ჩემო სნორაკიანო ახალუხო რომ სამ კაპიკიან კარდონის ვოროტნიკში უნდა გაგცვალო, მაგრამ რავქნა მეტი ჩარა რომ არა არის! ამ სიბერის დროს ძალათ უნდა მასწავლონ კავალრობა რაღა! არა მეც რა ქორფა კავალერი ვიქნები! სულ ზაგრანიჩნი კოპლის-მენტებს ვეტყვი რაღა!!! ეხ, მახლას..

გოგია.

ხმა ხმასა იცნობს...

შემოდგომისა სუსხმა დაჰკრა,
ცივა ყველგანა.
მანათობელი სხივი ჩაქრა,
კვნესის ქვეყანა.

—

სისხლით ირწყება არე-მარე,
ტყე-მინდორ-ველი.
შავმა ღრუბელმა შთანთქა მთვარე
შუქის მფრქვეველი.

—

არ გვარგებს კვნესა, ცრემლის ფრქვევა,
არცა სინაზე.
გვმართებს მუსრავი ძალთა რღვევა
მტრების ჯინაზე.

—

გამოვიღვიძოთ, ხმა მივსცეთ ძმებს,
ხმა პასუხს გაგვცემს;
ხმა ხმასა იცნობს და ხალხის მტრებს
თავს ზარსა დასცემს!..

ვ. ა—ძე.

მესტვირულები

1

(ოზურგეთისათვის)

ეხ, ჩემო სტვირო-ქამანჩავ.
ჩემო გუდავ და ნაბადო,—
არ შემიძლია, ხომ ხედავ,
რომ მოგიშორო დაგაგდო!

მსურს ეხლაც გვერდზე მოგიდო,
ნახვრეტზედ თითი დაგადო
და ჩვეულებრივ მოგმართო,
მწარ-ტკბილად აგაღაღადო...

ხომ იცი, სევდა-ვარამი
მე რამდენჯერმე მწვევია!
ცრემლში ნარევი ნაღველი
არ ერთხელ დამილევია...

მთლად უიმედო ფიქრები
გულს ბევრჯერ შემომხვევია,—
მაგრამ ნელ-ტკბილი ღიღინით
სულ-ყველა დაგვიძლევია!..

და ეხლაც, ჩემო ქამანჩავ,
ხელს ნუ ავაღებთ მღერასა;
კვალად განვაგრძოთ ღიღინი,
ვებრძოლოთ ბედის-წერასა...

ერთგულ დარაჯად დავუდგეთ
მშრომელი ხალხის კერასა
და ყური ვუგდოთ გულ-დასმით
ჩაგრულთა გულის ძგერასა...

დე, გაგვიმრავლდენ მტერები,—
სინიც საჭირონია;
აღვნიშნოთ მათი დიდება,
საქმენი საგმირონია..

პირმოთნეობა, ლაქუცი
არაფრად მოსაწონია..
აბა, ჰა! ვიწყებ სიმღერას,
ყურს გვათხოვებენ მგონია!..

—

მსურს აფთიაქსა ვეწვიო,
(შიგ კოხტა ქალიშვილია...
მის დანახვაზედ რამდენჯერ
ამიკაწკაწდა კბილია!).
იქ პროვიზორი ვიხილო,
„ქართული“ კლუბის შვილია,
არშიყობაში ნაქები,
ნაჩვევი, გამოწრთვნილია...

„მამულიშვილობს“ საბრალო,
როგორც მისთანებს სჩვევია;
თავადურ სულისკვეთებას
იმასში დაუძლევია...

„კნიაგინებს“ დასდევს დღე და ღამ,
სულ ადრე მათ შესჩვევია;
და ოზურგეთის ქუჩისტკებს
არ ერთხელ გადახვევია...

მული მიაკლდა თურმე მას,
უფულოდ ყველგან ვარია;
ჩვენმა „ესფერმაც“, ამბობენ,
გააღო კასის კარია...
ამოითვალა იქიდან
შვიდასი მან „ქანქარია“
და ამ ფულებით იგემა
წუთები სანეტარია!..

გაიგეს აგი ხმოსნებმა,
სთქვეს: “განვიხილოთ კასაო;
ვნახოთ—აკლდება დღითი დღე
თუ ემატება მასაო.—

ჩუმათ წავაწყდეთ თავზედა,
ნურაფერს ვეტყვით სხვასაო;
ნეტა რას იზამს საბრალო,
რით გაიმართლებს თავსაო!“.

მაგრამ უფრინდა ი . . . . რ,
როგორც ფეხ-მარდი მერანი;
და უთხრა: „რევიზიაა,
ხვალ აქ ვიქნებით ყველანი“.
შეშინდა „მამულიშვილი“,
აუტყდა გულის ძგერანი;
მივარდა თავის „ძმობილთან“
და იმას სთხოვა შველანი.

მყის გაასწორა ყოველი...
კასაც... შეხედეთ — მზათ არი!
დაუფაცურდა „ძმა-ბიჭი“,
უშოვა ბანკის „ქანქარი“;
თანამსახურსაც აუვსეს
კვიტანციებით დავთარი,
თითქოს მიიღეს ფულები, —
გაკეთდა საქმე წამხდარი..

მობრძანდენ „რევიზორები“,
სულ ყველა, არვინ ჰკლებია;
იძიეს—თუა მართალი,
რასაც ამტკიცებს ხმებია...
მაგრამ.. მოსტყუვდენ... საწყლები!..
ცხონდა იმისი ბებია,
ვინც მოათესლა ოზურგეთს
ეს მავნე და ურგებია!..

—

გათავდა. „ესე ამბავი,
ხალხურათ ნათარგმანები,—
მითხრეს და ლექსად გარდავქმენ,
საქმე ვქენ საპოქმანები“..
ვიცი—იწყენენ ძალიან
აქ ნახსენები ქალეღი,
დიდი ხანია ისინი
არიან ჩემზედ მწყრალები;—

მაგრამ—„ვერ იხსნის სიკვდილსა
შიში და დაღრეჯილობა“,
დე, დამესიოს სულყველა,
გამოიჩინონ „ზრდილობა“,
მე მაინც ჩემსას განვაგრძობ,
მაქვს ამის გაბედულობა,—
ზურგს მიმაგრებენ ჩაგრულნი,
თან მახლავს მათი შვილობა..

მაშ! ჯერ ეს იყოს, დროებით
მსურს შევასვენო პირია;
ან რა დროსაა ღიღინი—
ქვეყანას მუსრავს ჭირია...
თუ დრომ გვაცალა და მტრისგან
არ დავრჩით ანატირია,—
მაშინ მე მკითხეთ, რა კოხტათ
ვაკრიმანჭულო სტვირია.

მ. ცხვირაძე.

—

2

(ს. ხვარბეთისათვის)

დიდი ხანია სტვირისთვის
რაც არ მიხლია ხელია;
დაგუბდა ბოღმა-ნაღველი,
ამომიჟანგა ყელია.
ეხლაც არა მაქვს დაკვრის ორო,
ის ძნელი საშოვნელია—
ხელში მიჭირავს ტყვიები,
თოფი და ხიშტი გრძელია.
წინ მიდგას სულთა-მხუთავი,
მოუღერია ცელია;
თვარ დავხდი მარჯვეთ, ეგ თავი
ადვილი მოსაცლელია.—
აქეთ, ავსტრია მოგვადგა
და იქით გერმანელია,
ვერ დაეტია მის ტყავში
წუწკი, მსუნაგი მელია.
თათარიც წამოეჩხირა,
(გაუწყრეს გამჩენელია)
ნახავთ რომ ღორის ქონითა
ამოუთართხო ყელია.—
მაგრამ ვინ იცის, ცხოვრების
ჩარხი უკუღმა მსვლელია;
ამდენ მტრებისა ვისიმე
მიმსხვერპლებს ტყვია ცხელია.
ზამთარიც წამოემატა
ეს სუსხიანი—მწველია
და რა დროს სტვირის დაკვრაა,
როს ყოფნა სატირელია!?
რაკი ამიტყდა სურვილი
დაუკვრელობაც ძნელია
და უნდა უკანასკნელათ
გავბერო გუდა ძველია.

—

მამასახლისი სიმონი
ხვარბეთის მამა-მთავარი,
ნუნუას ტიკსა დააკვდეს
და ენაცვალოს მზათ არი.
ქაჩავს და ქაჩავს წითელსა
სულ აერია დავთარი;
ველარ მიმხდარა კლასი სად,
კანცელარია სად არი.
მწერალი მისი თომარი,
მისი ამყოლი—აბქარი,—
ფლიდი და გაიძვერაი,
ღვინოში ისიც მაგარი.
დალევენ, დაითვრებიან
და აუტყდებათ ცანცარი,—
მასწავლებელი „ბზეკალი“
კლასის ბალკონზე დამდგარი,
ანიშნებს: აქ ამოდითო,
კარგი ღვინო მაქვს—მაჭარი.
ცეცხლი მინთია, ოთახი
მშვენივრათ არის გამთბარი;

მალაქია და სიმონი
ახალი კარტით აქ არი,
მარკოზიც მოღიღინდება
სხვენზე ნაგდები — გამხმარი;
ფშუტიძეც მოჩანჩალდება
სულის მხსნელი და მოძღვარი,
(ამეღამ კლასის ოთახში
ბრძოლა იქნება მაგარი).
ივტიხი მათ არ ერევა,
თავის ოთახში დამჯდარი;
(კლასია ღამურებისთვის
ღამის ბინა და საფარი).

—

შეიყრებიან ამქრები
დიდის რიხით და ამბითა;
შეალამემდისინ ღვინოს სმენ
ბაკლებით, კოკა — ჩაფითა.
მერმე იწყება თამაში
გაბრუებულის თაეითა,
ხან კამთლების გორებით,
ხან ნარდით, ხანაც კარტითა.
ზოგს დაეცლება საქანქრე,
ზოგი ვერ ზიდავს ჩანთითა;
რაც უშოვიათ მათ დღისით
ყველას აგებენ ღამითა.
თვალ დაქაჩული ხუკესი
განზე მოგდებულ ჯვარითა,
გულ-ხარბი არის, ვერ ძღება
საკურთხით, ვერცა ფარითა.
დღისით სვამს, ღამით აქ მოდის
მოსაგებელის აზრითა;
(ახია ყველა წააგოს
რაც რომ მობოქა დრამითა).
თავს არ იწუხებს ცუღლუტი
წირვა და ლოცვის დარდითა;
როცა მოაწევს დრამობა
კარს მოგადგება აბგითა. —
ერთხელ თამაშში ჩამჯდარა
პარასკევს თავის ამქრითა
და განწმენდილი ამდგარა
იგი ორშაბათს ღამითა.
(მრევლი მორწმენი იქნება
იმისი ქცევის ნახვითა?)
ამგვარი ღვდელი დავსწყევლე
და შევაჩვენე ჯვარითა...

—

სოფლელი გაუგებარი,
იმისთვის შუდამ ბნელია;
რა იცის, რა ესწავლია,
ის მარტო მიწის მხვნელია,
შრომობს დღე-ღამე მოხრილი,
შრომაში წყდება წელია;
მუადიც არა აქვს საყოფი,
ბეღელიც ცარიელია.
იმისი ყოფა-ცხოვრება
ჯოჯოხეთია, ძნელია;
ვინაა მისი პატრონი,
დამხმარე, ანუ მხსნელია?
მწერალი, მამასახლისი
სოფლისთვის მხოლოდ მგელია;
ან რას მოუტანს მას ლოთი
და მოთამაშე მღვდელია?
(მათრახი უნდა ამგვარ მღვდელს
ზურგისა ასაწველია).
მისი ამყოლი ამქრები
სულ ყველა გასაწნელია...
„ხაიმი“ ლანძღავს დათიკოს
(განა გალანძღვა ძნელია?)
საქმე ის არის მლანძღველი
თუ სიმართლისა მთქმელია.
სოფლის ფერშალსა დათიკოს
(თუმცა ხანდახან მსმელია)
არვინ ემდურის, სოფელი
მადრიელი ჰყავს მთელია;
ხან და ხან კარტსაც თამაშობს
(სხვები ვარესის მქნელია
და მეც იმიტომ გადავკარ
იმათ მათრახის წვერია)..

—

დამშვიდდა გული ღიღინით,
ამოვიწმინდე ყელია;
დავაგდე სტვირი და ისევ
თოფსა მოვკიდე ხელია.
აწ მისთვის აღარ მცალია,
ყარსისკენ გეახელია;
უნდა დავხოცო თათრები,
ტყვია თვარ შამომელია.

ბერი ქედანი.

ფკიპურტები

1.

ქალ-ვაჟთა „განვითარება“.

ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი ამ ბოლო დროს მეტათ „განვიდარდა“. ევროპის „კულტურამ“ აქაც შემოაჭყიტა და ელექტრონის შუქით ააფერადა გოლოვინის პროსპექტზედ მოჯირითე ქალ-ვაჟთა ფიგურები, რომელნიც მკლავი-მკლავ გაყრილნი დაჭიკჭიკობენ ღამის თორმეტ საათამდე და სიამოვნებით სტკბებიან ერთმანეთის თვალის პაჭუნით.

ვინ გინდა რომ ამ სასიამო დოღში არ იღებდეს მონაწილეობას. აქ ნახავთ: უსაქმურ ინტელიგენტს, გამოგდებულ სტუდენს, დვორიანსკი უჩენიკს, კადეტს, ჩუჩის ავარას; გიმნაზისტკას, ხორისტკას, მოდისკას, ქუჩისტკას და სხვებს, მაგრამ ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, რაც ნიშნავს — სიძულვილის, კარჩაკეტილობის უარყოფას და კაცთ-მოყვარეობის შეთვისებას.

წინათ თუ მოსწავლე ახალ-გაზრდობა დღე-ღამ გაკვეთილების სწავლას უნდებოდა, დღეს ეს აღარავის აკმაყოფილებს. დღევანდელი ახალ-გაზრდობა ეწაფება კაცთ-მოყვარეობის უმაღლეს გრძნობებს და გაკვეთილებზედ მადლა აყენებს შემდეგ საკით-

ხებს: — თავის ახალ „ნაცნობს“ როგორი სიტყვებით მიესალმოს, თვალი ჩაუკრას, ხელი გამოსდვას, გაულიმოს, რომ თავი მოაწონოს და შეაყვაროს.

თუ წინათ გასათხოვარი ბარიშნა ვერ იყო საკმარისად განვითარებული, რის გამო მორცხვობდა გარეშე „ნაცნობთა“ წინაშე და ახლოს არ ეკარებოდა, დღეს პირიქით მეტ სითამამესაც იჩენს: მუხლზე დაუჯდება, მკლავზე დაუგორდება; თუმცა ბევრ მათგანს გვერდებზე ტყავი გადასძრობია ჩქმეტისაგან და სახე დასჭკნობია მეტის კოცნა-ლოკვით, მაგრამ არაფრათ არ აგდებს სიმწვავეს, სიცივეს, წვიმას, თოვლს და თავის „ნაცნობთან“ ერთათ სად გინდა არ წავა, რომ ნეტარება იგრძნოს და სხვებსაც აუშალოს საღერღელი განვითარების გზაზედ გამოსვლისა.

მეტათ იმედიანათ შევსცქერი ამ მოვლენას და ვეცდები შემდეგში უფრო ღირსეულათ გავაცნო საზოგადოებას იმ ახალ-გაზრდების ვინაობა, რომელნიც უმწვერვალესად „განვითარდებიან“ ამ დარგში. ეხლა კი სიამოვნებით დავიმღერებ საყოველთაოთ:

„განათლება კარს მოგვადგა,
ყველას გვმართებს სახარული,
სანატრელი დროი დადგა—
გაიაფდა სიყვარული.

ყველასა ჰყავს ოითო ცეტი—
ვერა, ნუცა, თამრო, პელო;
სხვა რა გვინდა ამის მეტი!
აგვიშენდა საქართველო.

თფილისელი.

სურათები

სუსხი არის ცივი ზამთრის,
მწარეთ გრგვინავს ქარიშხალი,
მიმქრალია მზე ცხოვრების
ლამის გაგვიყინდეს ძვალი.

ზეცას სწვდება ხალხის კვნესა,
სისხლით ირწყვის მინდორ-ველი,
ყველგან მეფობს—შური, მტრობა,
სიკვდილს აღუმართავს ცელი.

დრო დაუდგათ მხეცთა ხროვებს
ნავარდობენ ბრძოლის ველზე
და ტირანი, განცხრომის ძეც
ვერ ისვენებს სავარძელზე!

ცხმუტავს, წვალობს, თვალზე უდგას
თვისი ნების აღსასრული,—
თავს გავსწირავ—მხოლოთ ვნახო
ხალხის მტერი გაბასრული.

კოწია.

გურული სცენა.

პეტრია და გოგია.

პეტრია. ააა, გამარჯობა ზრავსტუი ხოშგელდუმ ბატონო ბარინ ეფენდი!

გოგია. ძმიავ და რა შეიტყვე, შენც წროუნდელ წელიწადსავით შეიპრიკე? რაა აი ცხრა რჯულაი სალამი!..

პეტ. აგი პრასაა ნემეცურიც თუ არ დაგირჩებოდეს ამ სიბერის ხანს საზუბრავათ.

გოგ. ოლოლე ჩვეხს დელიყანდ ორჭოფა მამულიშვილებს და იმათ ძვალ-ტყავა თავადებს— კი აფრიალებენ ფურცელს, მარა ვერ მივართვი პატრიჟანი, ისე ეწყობა საქმე მაი ხვანჯარა თათრები კი არა მთელი დუნია მალექეთი რომ დაგვესიოს ფაფარს ვერ შეუქანებს რუსეთის მეომარ დემოკრატიას.

პეტრ. იგი ხო და ახლა თლათ დალოი თათრების საქმე, იმისთანაი დელიყანდები ეწერება კოწიეის დრუჟინაში რომ ქვით იგენის ზიარი ბატი.

გოგ. ვეი პლეჩ, ვინა ჭოვ?

პეტ. ვინა და გიტულაი კიტულაი, ელისე და ესეფაი, კოწიეი-კოტრიეი, და ასეთი კიდო სხვები უნქიერა ზარმაცები.

გოგ. ხო და საკოდავო თათრებო, დალოი თქვენი ომი. დასცხებენ და მისცემს სიცხეს, დაანგრევენ ღომის ციხეს.

პეტ. ჩივიან აგი უცნაური დრუჟინა მარშალმა გამოჩხრიკაო, ვითომ გურულებს ეთხოვნონ.

გოგ. მამაის ცხონებამ ამის გამოჩხრეკას ამ შიმშილობის წელიწადს, მშიერი ხალხიზა ხუთი ქილა სიმინდი გამიეჩხრიკა იგი ერჩია თვარა ტყვიებს უმისოთაც საკმაოს ველით.

პეტ. არა ძმიავ, ისე არაა საქმე, კამანდრები კარგები ჰყავს თურმე ამ ზარმაცკი პოლკს—კოწიეი, ნიკოკაი და ჭაბუკი დიმიტრაი

გოგ, ერი ჰა, ოზურგეთიზა ვაინა კი არა, გაჩისტკა მომხთარა. ნეტამც ვასილასაც წეიტყოვდენ პომპოლიკათ.

პეტრ. ოზუგეთი კი იწმინდება, მარა ლანჩხუთი ნიდაიბოდ. გამოყო მარა რა გამოყო ფედერალების ბარტყებმა თავი, წრიპინებენ მარა რაფერ...

გოგ. დედავ წავხთი, ვინ არიან აგენი ბიკო.

პეტ. რეფერანტკა ხურდაძე იმნაძისა ნიჟეაბრაზოვანია გონიერი, ფეტკა ჭიათურსკი სტეპენტიონ ვიშე-აბრაზოვანიე სტატისტიკოსი, ფილოსოფოსი პლატონი, ჭკუის კოლოფი კოლია, დათიკოც იმის ტოლია.

დაიდვეს თითო რვეული—
დომხალივითა რეული,

მამულიშვილთა კრებული
მარტოკა თავ-აგდებული,
ზუზრეს აბდა და უბდები
მანამ დაჩუტეს გუდები.
გოგ. ვინ მოსთვლის ჩემო პეტრია,
ქვეყნათ რამდენი რეტია!
სანამ დრო ასე ბნელია—
იმათი სარბენელია...

ცხვირ-საკრავი.

ერთი ეშმაკი

(სამტრედიისათვის)

სამტრედიაში ერთი თვის წინათ,
კლუბის დარბაზში შაველი პირათ.
აქ სტუმრათ ვიყავ კაცთან წვეული,
რევიზიასაც ვიყავ ჩვეული...
(მე როგორც ერთი ეშმაკთაგანი—
აგია ჩემი კვლევის საგანი)...
მაგრამ, რაც ვნახე, იგი შენსა მტერს;
(გადავეყარე აქ ვილაცა შტერს).
კლუბის არისო მამასახლისი,
(მაისუროვი გვარია მისი).
იგი ჯერ არც კი შემოსულიყო,
რომ ვითა შტერი—ყვირილი იწყო:
„ბუფეტში რათა გხურავთო ქუდი,
ეს უზრდელობა არისო ცუდი“...
(ალბათ არ სჯერა, რომ კაცი ავი,
თუ არ უვარგა ქუდ-ქვეშ თვით თავი,—
ვერას ისწავლის—ოფლშიც იწუროს,
ქუდი სულაც რომ არ დაიხუროს).
— „ოჩისტი ვოზდუხ“!— გაეთრიეო,
გიჟობს შენს ტყავში დაეტიეო...
სახელიც მკითხა—„ვინ ხარო სიდან,
რაზე მოსულხარ, რომელი წრიდან?“.
(უნდა გამოვტყდე, ქეც დამაკვირდა.
ვსთქვი, ნეტავ აგი რაღათ დასჭირდა?)
ჩემს ვინაობას საათი მთელი—
იკვლევდა, როგორც პოლიციელი...
რაც ძაღლი იყო ბოლოს კი მივხვდი,
თუმცა ძაღლებთან ბოდიშსა ვიხდი,
რომ შეუდარე ის ულირსსა შვილს,
(ტყულად ძაღლი კი არ დაგასობს კბილს,
თუ არ მიეცი მიზეზი რამე
ერთგულსა დარაჯს, დღისით ან ღამე.
აქ ნაცვალაძეც სუფლიორობდა,
(ხაქმეში ორივ თანასწორობდა...)
თუმცა აშკარათ არ ამბობდა ცუდს.
(ხანდისხან მხოლოთ გაუქნევდა კუდს...)
მაგრამ სულ ერთი არ არის, არა!
ფარულათ გვლლობს, თუნდა აშკარა?
არც პირველია მათი „გმირობა“,
როგორც ამბობენ, ქკუის ძვირობა
ხშირათ აწუხებთ... (დადიან ხმები,
რომ ამისათვის „ბუქსი“ და სხვები
მალ-მალ წკეპლავენ, აძრობენ ტყავსა,
(ერთმა წერილიც კი მოათავსა...)
მაგრამ ვაკმაროთ, ამ ქალაჩუნებს,
ეშმაკი ისევ მოინახულებს,
და თუ კიდევ ქნეს საქმე საძრახი,—
გაუტკაცუნებს ჩემი მათრახი...

ახლათ-მოსული.

სატრფოს

(უძღვნი დ. აბ-ს.)

მრავალი ხნის უვალი გზა
მკერდით ვკაფე, გავარღვიე
და შენამდის სანამ მოველ,
ცრემლი ბევრი დავაფრქვიე.
ეკალ-ნარი გადავლახე,
ზღვის ზვირთები დავიმონე,
და სულმნათო ალტაცებით
მე შენ გულში ჩაგიკონე.
ბრძოლის ცეხლში ნაწრთობ გულმა,
ძლივს, ძლივს იგრძნო სიხარული,
რა მოველი შენს კალთასთან
გაჰქრა სევდა, გაჰქრა წყლული.
ვიგრძენ მშვიდათ სული, გული,
გაასკეცდა სიყვარული.
ამდენის ხნის ტრფობის ნიშნად
გიძღვენ უცხო თაიგული.
თაიგული სულ სხვა ფერი:
ტრფობის ძაფზე აგებული,
ვარდის ნაცვლად მძლავრი სული
სპეტაკ გრძნობით მოქარგული.
შენც შენის მხრით შემთავაზე
სიყვარული გული წრფელი,
ერთის წუთით განვიცადეთ
ჩვენ სიამე - სანატრელი.
ერთის წუთით, დიახ წუთით
სიზმარივით ჩამრჩა გულში,
გაჰქრა ყველა—ყვლავ ჩავები
ჩემგნით ნაცად მწარ ფერხულში.
მაგრამ ბედი არ მაშინებს
ცვალებადი არის ყველა,
დრო შეიცვლის, კვლავ გავჩნდები
შენთან ჩემო ცუგრუმელა.
მყის ჩაგიკრავ მკერდს მხურვალედ
მოგეხვევი ბროლის ყელსა,
სათოიების მოციქულო,
დაგიკოცნი თვალებს მწველსა.

გოგია..

J 158/1914 /2

ერმალო და „მეზობელი“.

„ერმალომ უთხრა მახარბელს
სოფელი არის დუმაო
შემწვარი გემრიელია
უწვავიც კი იჭუმაო“.

ასეთი ლექსით ერმალოს
ეწვია „მეზობელია“
როცა უნახა უბადრუკს
ცოდვებით სავსე ხვრელია.
აგი ერმალომ იწყინა:
როგორ დამრია ხელია
ან დამიმტკიცოს თუ მართლა
მე ქრთამი გიახელია,
ან და სიცრუეს რას წერავს
ის ვიღაც საძაგელია.
მედიატორეთ დანიშნა
ნოე და ბარნაბ მღვდელია
და შეუთვალა „მეზობელს“
ათ დღეში „პასუხს ველია“.

—

აქ „მეზობელმაც“ დასტამბა
პასუხი კარგა ვრცელია:
—„შენ იმით ხო არ მაშინებ
ლეკური რო გაქვს გრძელია?!
მე რაც ვსთქვი იმის მტკიცება
სულაც არ არის ძნელია,
მედიატორეთ—ვალერი
და კოსტა დამიჭერია,
გლახუნ ჩახვაძეს შეჰკითხონ
მან იცის ყველაფერია“.

შეიქნა კვლევა-ძიება
გადააბრუნეს ხვრელია,
რაღაც კი ნახეს მაგრამ,
არავინ არის მთქმელია.
ხალხში ფუჩუნი გაისმის:
გვეგონა უცოდველია,
ვფიქრობდით არ იკადრებდა
სოციალისტი ძველია.
მარტო მახარბელ გვეგონა
მღლეტელი ვითარც მგელია,
და თუ კი აგიც მოქმედობს
ვით თანაშემწე,—მელია.
ძლიერ კარგია ვიცოდეთ.
მაგრამ ვინ არის მთქმელია?

ქესტუმ.



ბრძოლის ველი.



ოსმალეთის ქალაქი სტამბოლი.



ქალაქი ანტვერპენი ბელგიაში.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი ი. ბოლქვაძე.